კლდე

№ 13

30 მარტი 1914 წ.

ეროვნული

მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

3 მან.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონო
მიური და სალიტერატურო ჟურნალი

წელიწადი მესამე

ცალკე ნომერი 5 კაპ.

რედაქცია ღიაა 9—3 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.

ს ა რ ჩ ე ვ ი: 1. არჩილ ჯორჯაძე და დღევანდელი მომენტი. 2. საჭირო ორგანიზაცია.—**დ. კახელისა.** 3. აირია მონასტერი.—***—**სა.** 4. არა ამის საფიქრისანი არს.—(მოთხრობა) თარგმ. **ირ. სონღულაშვილისა.** 5. პასუხი „სახალხო გაზეთს“.—**რ. გ—ესი.** 6. ზრესა. 7. უკანასკნელი ამბები. 8. ძვირფასი სამარე.—**ეკალისა.** 9. ბიბლიოგრაფია. 10 ჩვენი ფოსტა.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ კვირეულ საზოგადო-ეკონომიურ

და სალიტერატურო ჟურნალ „კლდე“-ზედ.

ფ ა ს ი:	1 წლით	3 მან.
	6 თვით	2 მან.
	3 თვით	1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

არჩილ ჯორჯაძე და დღევანდელი მომენტი

საერთო მოქმედების ნიადაგი *)

I

«ჩვენი საზოგადოება ჯგუფებად დაიყო. რასაკვირველია ამ ჯგუფების დაბადებას თავისი საძირკველი თვით საზოგადოებაში, ხალხის მატერიალურ ცხოვრებაშივე აქვს. მიწის მფლობელი, მიწის მომქმედი, მრეწველი, ვაჭარი და ღარიბი მუშა ერთი-ერთმანეთის ეკონომიურ წინააღმდეგობაში სცხოვრობენ. ამას ვერ უარვყოფთ. მხოლოდ, ამის და მიუხედავად, ჩვენსავე საზოგადოებაში იმგვარი მოვლენანიც არსებობენ, რომელნიც არამც თუ ასუსტებენ ამ წინააღმდეგობას, არამედ ჰბადავენ ნიადაგს მოკამათე ჯგუფების საერთო პრაქტიკულ მოქმედებისათვის. ეს მოვლენანი გვასწავლიან, რომ საქართველო იმ ისტორიულ ხანაში ჩადგა, როცა საზოგადოების და ხალხის დაყოფა და დაქუცმაცება კი არ გვესაჭიროება, არამედ იმისი გამთელება და გაერთება.

ჩვენ გვსურს დავასახელოთ სამი უმთავრესი საკითხი ჩვენის ცხოვრებისა, რომლის გარკვევაში ჩვენს მოპირდაპირე დასებს საერთო მოქმედება შეუძლიათ. ჩვენ სახეში გვაქვს: ა) ქართველი ენის დაცვა ბ) ქართულ ვაჭრობა-მრეწველობის შექმნა და გ) ქართულ მეურნეობის ქართველთა ხელში შერჩენა.

ჩვენ აქ ბანალურ აზრების გამეორებას არ შევუდგებით იმის შესახებ, რომ სამშობლო ენა გონების წარმატების აუცილებელი პირობაა და რომ სამშობლო ენის დაკარგვასთან ხალხს ეკარგება საჭირო ორგანო გრძნობების და იდეების გამოთქმისათვის. არც იმას ვიტყვით, რომ სამშობლო ენის დაკარგვასთან ხალხს სიცოცხლე აკლდება, ცხოვრება ფერს და სისრულეს ჰკარგავს. იმგვარ საზოგადოებაში მეცნიერებას და ხელოვნებას ადგილი არა აქვს, რადგან მეცნიერება მოითხოვს აზროვნობის მოძრაობას. ხელოვნება კი გრძნობების და საზოგადოდ შინაგან ცხოვრების განვითარებას, უენოდ კი ყველა ეს იხუთება. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ დროა რამე პრაქტიკული ღონისძიება შევიმუშავოთ, რათა გადავარჩინოთ სიკვდილს სამშობლო ენა და ამასთან ერთად მთელი ჩვენი ეროვნული ხასიათი.

თუ მართლა ჩვენს საზოგადოებაში სამი დასი არსებობს, აი ის პირველი საკითხი, რომელიც უნდა აერთებდეს ამ დასებს და რომლის განნარტებაში არც „დიალექტურ პროცესსა“ აქვს ადგილი და არც „ეკონომიურ მატერიალიზმს“.

მეორე საკითხი, არა ნაკლებად რთული და მნიშვნელოვანი, **ქართულ** ვაჭრობა-მრეწველობის შექმნის, წარმატების საკითხია. ბევრსა ჰგონია ჩვენში, რომ აი სწორედ ეს საკითხია ის, რომელმაც უაცილებლად ჩვენი საზოგადოება მოპირდაპირე ჯგუფებად უნდა დაჰყოს, და ეს დასკვნა უფრო იქიდან გამოჰყავთ, რომ სხვა ქვეყნებში სწორედ ამ ნიადაგზე თავს იჩენს კლასთა ბრძოლა. ჩვენის აზრით კი კაპიტალიზმის ზრდა-განვითარებამ საქართველოში, თანამედროვე პირობებში, **ნაციონალური** მიმართულება უნდა მიიღოს. საქართველოს ეკონომიური წარმატება, ქართველ ვაჭარ-მრეწველთა გამრავლება და მუშათა რიცხვის ზრდა ქალაქებში, კლასთა ბრძოლის ნიადაგად კი არ უნდა ჩაითვალოს, არამედ აუცილებელ პირობად ჩვენის ხალხის ნაციონალურ აღორძინებისა. ქართველი კაპიტალისტი *) ესე იგი ვაჭარი და მრეწველი, ქართველ მუშას კი არ უნდა დაუპირდაპიროდ, არამედ იმ უცხო ტომის ელემენტებს, რომელთაც ხელში უჭირავთ ალებ-მიცემობის მონოპოლია. ქართველი მუშა, ასოთ-ამწყობია იგი, თერძი, მეჩექმე თუ კარის დარაჯი, ამავე ეროვნული აზრით უნდა იყოს გამსჭვალული. მართალია, ამ სახით შესანიშნავად ვერ გაუმჯობე-

*) თხზულებანი ა. ჯორჯაძისა წიგნი მე 4. გვ. 7. ეს წერილი ეკუთვნის განსვენებულ არ. ჯორჯაძის კალამს; დაწერილია 1901 წელს. ვბეჭდავთ ამას, რადგანაც იგი მეტად დაახლოვებულია დღევანდელ მომენტთან, როდესაც ირყევა და ისახება ახალი შეჯგუფება, რომლის გარშემო ასეთი შეხლა-შეჯახებაა გამართული. იქნება ეს წერილი ცოტათი გამოაფხიზლებს იმათ, ვისაც აქამდის დარჩენილი ჰქონდათ საზოგადოებრივ აზრის შემქმნელი ბურთი და მოედანი. და „სოციალისტური“ ყრიამულით გააქვთ და გამოაქვთ ქვეყანა... რედ.

*) დიდის შიშით ვხმარობთ ამ სიტყვას—ისე ცოტანი არიან ჩვენში ისინი, ვისაც კაპიტალისტებს ეძახიან. ა. ჯ.

სდება რამდენიმე ხნის განმავლობაში იმისი მატერიალური მდგომარეობა, რადგანაც ნაციონალურის იარაღით შრომისა და კაპიტალის წინააღმდეგობა ვერ აღმოიფხვრება, ხოლო ქართველი მშრომელი ხალხი იძულებულია თავისი კერძო კლასიური ინტერესი საერო ინტერესზე დაბლა დააყენოს და მით დაამტკიცოს თავისი ეროვნული თვით-ცნობიერების სიმწიფე. ჩვენთვის ფულიანი კაცები საჭირონი არიან, რადგანაც უფულოდ ჩვენ ვერ ვაწარმოებთ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეს, რადგან უფულოდ ჩვენ ვერ ვახეირებთ ვერავითარს ქართულს საზოგადო საქმეს – თეატრია იგი, წერა-კითხვის საზოგადოებაა თუ გამომცემელი საზოგადოება. ჩვენთვის საჭირო არის ქალაქებში შეგროვილი და გამრავლებული ქართველი მუშახალხი, რომელიც შეჰქმნის ნიადაგს ჩვენის ერის ეკონომიურ ევოლიუციისათვის.

მესამე საკითხი ამავე ხასიათისაა. ქართული მიწის მფლობელობა ამ ჟამად დიდ განსაცდელშია. ჩვენი თავად-აზნაურობა, რომელიც მიწად-მფლობელი წოდება იყო ჩვენში, თანდათან თავის მამულებსა ჰკარგავს. ჩვენი ბანკები, მიწად-მფლობელობის სასარგებლოდ დაარსებულნი, იმის მტრად გადაიქცნენ, რადგან მამულების გაყიდვის პროცესი დააჩქარეს. ფული, გამოღებული მამულის გირაოთი და არ მოხმარებული მამულის საჭიროებისათვის, სწორედ ის ულმობელი, დამარღვეველი ძალაა, რომელმაც წოდებრივ მიწად-მფლობელობას საქართველოში ბოლო მოუღო. მხოლოდ ვის უნდა ჩაუვარდეს ხელში ის მამულები, რომელნიც ჩვენს თავად-აზნაურობას ეკარგება? იქნება ჩვენ იმის ცდაში უნდა ვიყოთ, რომ დავეხმაროთ თავად-აზნაურობას და რამე ღონისძიება ვიხმაროთ, რომ შევარჩინოთ მამული და თავისი წოდებრივი ხასიათი? ჩვენი აზრით, ძალიანაც რომ გვდომოდა თავად-აზნაურობის აღდგენა, იგი უკვე წარსულს ეკუთვნის და მისი წოდებრივი აღორძინება შეუძლებელია. მიწად-მფლობელობა მხოლოდ იმათ შერჩებად, ვინც მამულს ფულით ახეირებს, ე. ი. ვინც მრეწველობის გზას დაადგება. და რადგან ჩვენს თავად-აზნაურობაში ამ იარაღით შეიარაღებულნი პირნი ძალიან ცოტანი არიან, ამიტომ იმ საკითხმა, თუ ვის ხელში დარჩება ამოდენა ქართული მამული, ღრმად უნდა ჩაგვაფიქროს და აგვაკილოს ის შეცდომა, რომელშიაც ადვილად გავებმევით, თუ ამ მოვლენას დოქტრინის თვალით შევხედეთ. ჩვენის აზრით, ჩვენ ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ გასაყიდი მამულები **ან** ქართველმა გლეხკაცობამ შეისყიდოს, **ან** კიდევ ქართველ-ვაჭარმა, მრეწველმა და საზოგადოდ იმათ, ვისაც მეტი ღონე აქვს გარეშე პირებთან ეკონომიური ბრძოლისათვის. ასე რომ, მესამე პრაქტიკული საგანი, ჩვენ ცხოვრებაში წამოყენებული საგანია, რომლის განმარტებაშიაც ჩვენი შეერთებული ძალაა საჭირო, საგანი **ქართულ** მიწად-მფლობელობის და **ქართულ** მიწად-მოქმედების დაცვისა.

შეიძლება ბევრი არ დაგვეთანხმოს იმაში, რომ ამ სამს საკითხთა გარკვევაში შესაძლებელი ყოფილიყვეს ჩვენი დასების საერთო მოქმედება. იქნება ჩვენს საზოგადოებაში იმისთანანიც გამოჩნდნენ, რომელთაც არაფრად მიაჩნდეთ ქართული ენის დაკარგვა. ქართული ლიტერატურა ღარიბი არის, იგი არ აკმაყოფილებს განვითარებულ მკითხველს. ქართული ენა პრაქტიკულადაც საჭირო არ არის, რადგან არავითარი **საქმე** ქართული ენის საშუალებით არ გაკეთდება, იტყვიან ისინი. ყველა ამაზე ერთი პასუხია. თუ ჩვენ გვსურს და ძალ-გვიძს სიცოცხლე, ჩვენ გავამდიდრებთ ქართულ ცხოვრებას და ლიტერატურას, ჩვენ შევქმნით ქართულ საქმეებს და თუ სიცოცხლე არა გვსურს, მაშინ, რასაკვირველია, დღეს ხვალ გახრწნილ გვამად გადავიქცევით და ყოველივე, რაც შეადგენს ჩვენს ვინაობას, ჩვენს სულს, გაჰქრება და განიქარვება. მხოლოდ ქართველი ერი სიკვდილს არ აპირებს. და თუ მაინც და მაინც ჩვენ ინტელიგენციას და თავად-აზნაურობას საუკუნო განსვენება ჰსურს, ქართველ ხალხს, პირიქით, სიცოცხლის ენერგია და მხნეობა ეტყობა. ყველა ეს კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ.

მეორეს მხრით, შესაძლებელია, ქართულ კაპიტალიზმის და ქართულ მეურნეობის საკითხის გარკვევამაც ჩვენ დასთა შორის უთანხმოება და განხეთქილება გამოიწვიოს.

რათა ჩვენი აზრი ამ საგანზე უფრო ნათელი და მკაფიო გამოჩნდეს, ვიტყვით, **ნორმალურ** პირობებში ამ კითხვების განმარტვაც ნორმალურია, ე. ი. ეკონომიურ მოვლენათა გამოსარკვევად ეკონომიური კრიტერიუმია საჭირო. საფრანგეთის კაპიტალისტთა და მუშათა შორის განხეთქილება მაშინ მოისპობა, როდესაც შრომის და კაპიტალის წინააღმდეგობა გაჰქრება. ინგლისის ლენდ-ლორდებს, ფერმერებისა და სოფლის მუშათა შორის თანხმობის ჩამოვარდნა დამოკიდებულია წმინდა ეკონომიურ მიწად-მფლობელობის ფორმათა შეცვლაზე. ეკონო-

მიურ ანტაგონიზმის განსამარტავად ამ ერთა ცხოვრებაში ნაციონალურ პრინციპს არავითარი ადგილი არ უჭირავს. სულ სხვაა ჩვენს პირობებში აღძრულ ეკონომიურ კითხვების განმარტება.

ჩვენი საზოგადოება, შედის-რა სულიერ და ეკონომიურ წარმატებაში, ჰკარგავს თავის ერთგვაროობას. სოფელი, რომელსაც ეკონომიური ევოლიუცია ამოძრავებს, ჰბადავს არა მარტო მიწის მომქმედს, არამედ ხელოსანსა: დურგალს, მჭედელს, მეკრამიტეს და სხ., სოფელი ჰქმნის ცხოვრებისათვის საჭირო ნივთებს, რომელთა შემუშავებისათვის და გასასაღებად ჩნდებიან საჭირო აგენტები—მრეწველები და ვაჭრები. ვაჭრები და მრეწველები უმეტეს შემთხვევაში თავიანთ საქმეებს ქალაქებში აწარმოებენ, რის გამოთაც ქალაქების მცხოვრებთაც მრავალგვარი პროფესიები ებადებათ. **თანამედროვე ცხოვრებაში აუცილებლად საჭიროა, რომ ჩვენ დაქვეითებულ ერს თავისი საკუთარი ორგანოები ჰქონდეს ყველა ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის** *). სალი ერის ზრდა, იმისი სიმძლავრე ვიწროდ არის დაკავშირებული იმაზედ, რომ მრავალგვარი იმისი მოთხოვნილებანი თვით ერის საშუალებითვე იყვნენ დაკმაყოფილებულნი. რაც ჩვენ შეგვეხება, მაგას მოითხოვს არა ნაციონალური ეგოიზმი, არამედ დალახვრული სიმართლე და ერთა შორის მწვავე დამოკიდებულობის ნაცვლად თანასწორობის განმტკიცება. ნაციონალური ცხოვრების გამაგრება საჭიროა თვით ეკონომიურ წარმატების განმტკიცებისათვის.»

საჭირო ორგანიზაცია

როგორც წინა წერილში მოგახსენებდით, მიწის მომწყობ ორგანიზაციებს, საერთოდ თვალსაჩინო ადგილი უკავიათ პატარა დამოკიდებულ ერთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მათი მუშაობა, თუ იგი წესრიგიანად მოწყობილია, მეტად საგრძნობელია თავის დადებითი შედეგებით და მასთან რასაკვირველია ფართოც, რადგანაც აგრარული საკითხი მრავალფეროვანია, რთული და გადაბმული მრავალ სხვა საერობო საკითხებთან. ამითი აიხსნება, რომ „ლატიშთა მიწის გასაუმჯობესებელი ბიუროს“ მუშაობაც, რომელზედაც ეხლა გვაქვს საუბარი, ამ მრავალფეროვნობით ხასიათდება. იგი ანგარიშს უწევს ყოველ საკითხს, რომელსაც რაიმე დამოკიდებულება აქვს აგრარულ საკითხთან და ამ მხრივ პატარა საერობო თვითმართველობის ფუნქციებსაც ასრულებს. რომ ეს უფრო ნათელი იყოს ჩვენთვის, გადავშალოთ მისი საყურადღებო ანგარიში — შედეგი ათი წლის საუცხოვო მოღვაწეობისა.*) რა გააკეთა და რას აკეთებდა ამ ხნის განმავლობაში „ლატიშთა მიწის გასაუმჯობესებელ ბიურომ“ თავის ქვეყანაში?

აგრარულ სფეროში ა) შეადგინა ტოფოგრაფიული გეგმები და დააფასა მიწები, რომელ მუშაობითაც მოამზადა სათანადო მასალები მომავალ მიწის ბეგარის რეფორმისათვის ოსტზეის გუბერნიებში. ბ) შეადგინა კარტოგრაფიული სამელიორაციო სტატისტიკა. გ) მოაწყო სამელიორაციო კრედიტი და აძლევდა სესხს: მდინარე წყლების სარეგულიაციოდ, სასმელ წყლის სოფლებში გასაყვანად, სარწყავ წყლების გამოსაყვანად, ჭაობების დასაშრობად, მდინარის ნაპირების გასამაგრებლად და სხვა და სხვა. დ) აწვდიდა ცნობებს და ავრცელებდა ყოველგვარ ცოდნას მიწის გასაუმჯობესებელ დარგიდან — აწყობდა ადგილობრივ ენაზედ საუბრებს და სხვა. ე) აწყობდა ექსკურსიებს და გზავნიდა თავის მოსამსახურეებს და წევრებს ბიუროსი მიწის დარგში პრაქტიკულ ცოდნის შესაძენად გერმანიაში, საფრანგეთში, ფინლანდიაში. ვ) მოამზადა მთელი კადრი ტეხნიკოსებისა, ინჟინერებისა, აგრონომებისა, მიწის მზომელ—ტაქსატორებისა და სხვა ამგვარი საჭირო სპეციალისტები სამშობლო ქვეყნის მიწის მოვლა-გაუმჯობესებისათვის.

საერობო სფეროში აშენებდა შარა-გზებს, ხიდებს, შლიუზებს, სათევზაო საკვებებს; ადგენდა სხვა და სხვა პროექტებს — ქარხნების აშენებისათვის, საფერმო შეურნეობის გეგმებს, ხელს უწყობდა სხვა და სხვა მწარმოებელ ამხანაგობათა მოწყობას.

მასთან შეიმუშავა განსაკუთრებული წესრიგი ტყეების შენახვისა, გამოსცა მრავალი წიგნები და ბროშიურები აგრარულ საკითხთა დარგიდან.

იღებდა მონაწილეობას როგორც ადგილობრივ მთავრობის ისე სამინისტრო კომისიების მუშაობა-

*) ეს აზრი მეცნიერულად არის დასაბუთებული Baton-ის წიგნში „ერი და კეთილდღეობა“.

ა. ჯ. 1911 წ.

*) იხ. „Отчетъ о дѣятельности Лифляндско-Эстляндскаго бюро земельныхъ улучшеній за 10 лѣтъ его существованія.“

ში, რომელშიაც დიდი გავლენა ჰქონდა, მეტადრე როდესაც მათი მუშაობა სამშობლო მხარის რეფორმებს ეხებოდა.

ათი წლის განმავლობაში ბიურომ გახსნა სხვა და სხვა ქალაქებში 5 განყოფილება, რომლის მეოხებით გასცა 400,000 მანეთის სესხი თავად-აზნაურობასა და გლეხობაზე.

ასეთია მოკლედ თვალსაჩინო მოქმედება ,,ლატიშთა მიწის გასაუმჯობესებელ ბიუროსი''. ეს მისი სამაგალითო მუშაობა მჭიდროდ იყო გადაბმული სხვა ლატიშთა საზოგადოებებთან და მათ შორის—ლიფლანდიის ,,ეკონომიურ საზოგადოებასთან. შედეგიც საუცხოვო მოჰყვა. ჭაობების ქვეყანა, ქვეყანა გალატაკებულ და წელში მოხრილ გლეხებისა, ამ უკანასკნელ დროს ისე წაიწია წინ, რომ კულტურულ ქვეყნების რიგშიც კი ერთ-ერთი წარჩინებული ადგილი დაიკავა.

ამნაირ მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანდა... მაგალითად მე შემეძლო მომეყვანა არა ნაკლებ სამაგალითო და მრავალფეროვანი მოქმედება ,,ვარშავის სამელიორაციო ამხანაგობისა'', პოლონეთის მიწისმომქმედთა წრეების მოღვაწეობისა, პოზნანის საადგილ-მამულო ორგანიზაციებისა, მაგრამ ზემო მოყვანილი მაგალითიც საკმარისია; მით უფრო, რომ მისი შინაარსი და ორგანიზაციული მხარე ცოტად თუ ბევრად შეეგუება ჩვენს პირობებს და ამიტომაც შესაძლოა ჯერ-ჯეროობით ამითიც დავკმაყოფილდეთ და გადავიდეთ ჩვენი ქვეყნის მიწის საკითხის და მის მოვლა-მოგვარების პრაქტიკულ ორგანიზაციის გათვალისწინებაზედ და მის მოწყობის საქმის განმარტებაზედ.

დღევანდელ პირობებში ქართული აგრარული საკითხი ყოველი მხრიდან დახმარებას საჭიროებს. არ არის იმისთანა მხარე ამ საკითხისა, რომ იგი კრიზისს არ განიცდიდეს. მსხვილი მიწათ-მფლობელობა რახა-რუხით ინგრევა და იფუშება, საშუალო მიწის-მფლობელთა წრეები უცოდინარნი, უძლურნი თავის მამულებს ძლივ ძლივობით და კვნესით უძღვებიან, გლეხთა მიწის-მფლობელობა აუტანელ პირობებშია, მეტადრე აღმოსავლეთ საქართველოში. თქვენს ღმერთს, თუ ქართლ-კახეთში იმ ბედნიერ სოფელს წააწყდებით სადაც საერთოდ მიწის-მფლობელობის საკითხი სავსებით იყოს მოგვარებული, რომ ყოველ გლეხს სწორედ გამიჯნული და უდავო საკუთრება ჩაბარებული ჰქონოდეს. ამ პირობებში, რა გასაკვირველია მიწის ინტენსიური დამუშავება ძნელად იკიდებს ფეხს და ჩვენი სურვილიც, რომ ქართული სოფელი ახალ კულტურულ განვითარების გზას დავაყენოთ, ძალუნებურად ქარწყლდება და ჰქრება.

თუ ამას დაუმატებთ იმ საშინელ სურათს, რომ ამით სარგებლობენ საქართველოს მრავალი მტრები და ყოველდღე, ყოველ საათს, ყოველ წამს ჰგლეჯენ მას მიწა-წყალს, უნგრევენ ქართველობას კერას, მწყობრად და მედგრად ერეკებიან მას ჩრდილოეთ-კავკასიონის მთებისაკენ, თქვენ წარმოდგენილი გექნებათ რა დიდი საქმე, რა დიდი შრომა გვმართებს ჩვენ, რომ ქართველი ერი ამ საშინელ განსაცდელისაგან გამოვიყვანოთ და თბილისის გუბერნიის სამხრეთი ნაწილის სამუდამოდ დაკარგვისაგან გადავარჩინოთ.

არა მარტო ბორჩალო-ახალქალაქის მაზრებისა არამედ—ახალციხისა, ნახევარი გორის მაზრისა, მთელ თბილისის მაზრისა, ნაწილი სიღნაღის და თელავის მაზრისა.

ამრიგად, ქართულ აგრარულ საკითხში ორი მთავარი ფაქტორია, რომელსაც ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ—**ეს მისი დაცვაა და პარალელურად მისი გამაგრება**. ჩვენთვის ეს ანგარიში არც ახალია ძველია...ქართველ ერის ისტორია ამის მოწმეა. მისი მუდმივი ლოზუნგი იყო: დაიცავი შენი მიწა-წყალი ,,გაამაგრე! ასე რომ, ჩვენ არ უნდა გვაშინებდეს ეს ორმაგი და ძნელი მუშაობა... ძველია! როგორც ძველია ქართველი კაცის სიყვარული მამულისადმი და მისი გმირული ბრძოლა მამულისათვის. და თუ ქართველი ხმალი წინად სჭრიდა—დღევანდელი იარაღიც გასჭრის, კულტურული.

ჩვენ რომ ლატიშების მდგომარეობაში ვყოფილიყავით, სადაც სამშობლო მიწის დაცვა ისე გამწვავებული არ არის და ლატიშს, უმეტეს შემთხვევაში, საუკეთესო და მშვიდ პირობებში უნდება კულტურული მუშაობა, რასაკვირველია იქნებ ჩვენც კაი ხანია პროგრესიულ აგრარულ რეფორმების გზაზედ ვიდგებოდით და ქართველი ხალხის ბედის ჩარხიც აქამდის სხვა მხარეს მოტრიალდებოდა. მაგრამ რა ვუყოთ, სჩანს ჩვენი ბედი ასეთი ყოფილა... სადაც ერთი თავია შესაწირად საკმაო, ჩვენ უნდა ათი გავწიროთ...

ასეც უნდა მოვიქცეთ. თუ საჭირო იქნება ათასი თავიც შევსწიროთ მამულ-დედულის დაცვა-გამაგრების საქმისათვის. მართალია, დღეს იარაღი ამ ბრძოლისა სხვა არის, მაგრამ შედეგი კი ერთია ან გამარჯვება და ან სიკვდილი ერისა.

რა საუცხოვო სურათს გვიშლის პოზნანის

პოლონელების ბრძოლა პრუსიასთან!.. ბრძოლა უსისხლო, ბრძოლა ჩუმი, ბრძოლა ძლიერი და საშინელი, ბრძოლა გოლიათისა და პატარა დავითისა. შენ უშველებელ ხმლით, მე პაწია ქვით—იმ მიწისა რომელიც მორწყულია ხალხის ოფლით, სისხლით და სიყვარულის ცრემლებით.

წაიკითხეთ ეს შესანიშნავი წიგნი*; და თქვენთვის ნათელი იქნება ამ ბრძოლის საუცხოვო შედეგებიც .. მაგრამ უახლოეს თემას გავცილდი და ვუბრუნდები. ამთავად კვლავ განვიმეორებ ჩემს დებულებას. ჩვენ გვესაჭიროება იმნაირ პრაქტიკულ ორგანიზაციების მოწყობა, რომელიც ჯეროვანად გაუძლევება ქართულ მიწის ერთმხრივ დაცვას და მეორეს მხრივ—გამაგრებას. საჭიროა, რომ ეს ორგანიზაცია მოეშველოს ჩვენს მიწას, ყოველმხრივ გამოკვლევა-გათვალისწინებით, ყოველმხრივ ხელმძღვანელობით და ყოველმხრივ დახმარებით. დაწვრილებით, რაში გამოიხატება ამ ორგანიზაციის მუშაობა და როგორ უნდა მოეწყოს იგი შემდეგ წერილში ვრცლად შევეხები.

დ. კახელი.

აირია მონასტერი

„საქართველოში თვრამეტი ჟურნალ-გაზეთი გამოდის!“

შეიძლება კაცმა მართლაც იფიქროს, როგორც ბატონ „სიტყვისა“ჰგონია, რომ ჩვენს ცხოვრებაში კულტურული ზრდის პროცესი მოქმედობს და იწყობა სასურველი დიფერენციაცია კლასთა, იდეათა და მიმართულებათა. მაგრამ ამის მსგავსს ვერაფერსა ვხედავთ ჩვენა, რადგან არც ერთი არსებული პარტია (თუ დაერქმის ასე 5 და 10 კაცის შეერთებულ სურვილს) არ ეყრდნობა რეალურ მოთხოვნილებას, ან ძალას, ან კლასს, არამედ უფრო **საკუთარს მისწრაფებას და სურვილს**. ყოველი პარტიის (?) ორგანოს ჰგონია, რომ საკმარისია **გამოცხადება**, რომ მე გლეხთა ინტერესებს ვიცავო, ან მშრომელი ხალხისაო,ან რომ მე სოციალისტი და დემოკრატი ვარო, რომ **რეალურადაც** ასე იყოს და მართლაც გლეხებმა, მშრომელმა ხალხმა და სხ. მათი სიტყვა ბაჯაღლო ოქროდ მიიღოს და თავის **ინტერესების** დამცველად დასახოს. ჩვენ ეჭვი არ შეგვაქვს იმაში, რომ ყოველ მიმართულებას, თუ ჩამოვაცლით საკუთარ [illegible], გულწრფელადა სურს და ფიქრობს, რომ იგი ერის უმრავლესობის ინტერესებს იცავს, რომ **იგია მხოლოდ ნამდვილი მოსარჩლე მთელის ერისა**, მაგრამ სურვილი და ფიქრი—თავის მოტყუებაა (და დაბექდილი თავის მოტყუება ხომ სხვის მოტყუებაც არის), უბრალო ლიტინია საკუთარის თავმოყვარეობისა და არა სინამდვილე. მაგ. ფედერალისტები ორი მხრიდან არწმუნებენ მკითხველს, რომ მათი პარტია დღითი-დღე იზრდება, რომ მათი იდეები „ღრმა ფესვებს იკიდებენ ხალხის გულში“ და სხ. მაგრამ ფაქტები სრულიად წინაალმდეგს ამტკიცებენ: ამ „ღრმა ფესვიან“ პარტიას კაცი ვერ უპოვნია სახელმწიფო-სათათბიროსთვის, ვერ უპოვნია საპარტიო ორგანოსთვის, ვერ უპოვნია გამომხატველი მათი ნამდვილი სულისკვეთებისა. განა ბ-ნი გელოვანი სოციალისტია ან ავტონომისტი? განა ბ-ნი ჯ—შვილი ისეთი მეთაური, რომელიც მედგრად იცავდეს, ან იცნობდეს საკუთარ პროგრამას, განა არჩილ ჯორჯაძის შემდეგ გამოინახა მისი მოადგილე? არა, და არა! და როდესაც ასე თამამად ჰყვირიან: ფესვები გვიდგით ხალხშიო, ეს შეცდომაა, გაზვიადებაა საკუთარის ძალებისა.

ასევე იქცევა სოციალ-დემოკრატია, თუმცა რასაკვირველია, მას უფრო საფუძვლიანად შეუძლიან თავის მოწონება და მოტყუება, რადგან იგი რეალურად არსებულ კლასს და ძალას ეყრდნობა და არა ფიქციას. სოციალ-დემოკრატებს თავის წონა შეცდომები და შეცოდებანი აქვთ, მაგრამ რაკი საფუძველი სინამდვილეში უკავიათ, ე. ი. ნამდვილ ინტერესებში და არა უბრალო გრძნობებზე და სურვილებზე აქვთ დამყარებული—თანდათან მათ ყოველთვის შ ე უ ძ ლ ი ა ნ თ თავიდან მოშორება უნაყოფო პოლემიკისა და დიდებითი საქმის გაკეთება. თუ არ დაივიწყებენ იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ მუშათა კლასი ჩვენში ჯერჯერობით სულ პაწია არის და მისი ინტერესები ქვეყნის ინტერესებად ვერ გამოცხადდება.

ამ ორ მთავარ მიმართულების შუა გამოიყო სრულიად ახალი, რომლისთვისაც ბრაზ-მორეულ ძველ პარტიებს სახელიც კი ვერ მოუგონიათ და ათასგვარი ჭორითა და ცილისწამებითა სურთ მისი შეთხუპვნა, რადგან მეტოქესა ხედავენ მასში; მაშინ

*) პროფ. ბერნგარდი „ბრძოლა პოლონელებისა თავის არსებობისათვის პრუსიასთან“.

როდესაც მას უკვე გარკვეული სახეცა აქვს და სახელიც, მაშინ როდესაც იგი პარტიულ მეტოქეობას ვერავის გაუწევს, რადგან მასა სურს დაემყაროს ახალს რეალურ მოვლენას — ბურჟუაზიულ კლასის აღორძინებას და **თავისი** ადგილი დაიკავოს. მაგრამ მეტოქეებს შეგრით გული ეკუმშებათ და ჰგონიათ, რომ ამ ახალ მიმართულებას ისევე სურს მთელ საქართველოზედ გაბატონება (საკუთარ ფანტაზიაში), როგორც ისინი თვითონ ოცნებობდნენ აქნობამდე. თუ სოციალ-დემოკრატია და ფედერალისტები ბუნდოვანად და მარტო კბილების ღრჭენით ამტკიცებდნენ მის ზუბრობას, კაცი-ჭამიობას და სხ., გულუბრყვილო „ჩვენმა ერმა" პირდაპირ გამოსთქვა მათი შიში: „ნარდონებს" *) გაბატონება სურთ საქართველოს ტერიტორიაზედ და ამიტომ მოაქვთ ასეთი ცხარე იერიშები სანფარებზედაო" ტყუილი შიშია, ვარწმუნებთ პატივცემულ გაზეთს: „ნარდონებმა" რომ მოინდომონ კიდეც, ვერსად გაბატონდებიან, **თუ რეალურ ძალას არ დაემყარებიან** და თუ ძალა ექნებათ, „სანფარების" ქლავი-ქლუვი სულ ფუჭად ჩაივლის. მაშასადამე, ყველა არსებული მიმართულება უნდა ემყარებოდეს და ამაგრებდეს **თავის** პოზიციებს არა საგაზეთო პოლემიკით, არამედ საქმით, ორგანიზაციით. ამას კი ჩვენში ვერა ვხედავთ და ამიტომ არა გვჯერა იდეათა, კლასთა და სხვათა დიფერენციაცია, არამედ ვხედავთ მარტო დაკნინებას პრესისას, საცა სამი-ოთხი კაცი შეიკრიბება და „საკუთარ" ორგანოს გამოსცემს და რადგან ვერ პოულობს იმ რეალურ ძალას, რომელსაც დაემყაროს, ცარიელა ფრაზებით იცავს მუშების, გლეხების და ქართველი ხალხის უმრავლესობის ინტერესებს.

ნეტარ არიან მეოცნებენი, მაგრამ ჩვენ მარტო იმას ვხედავთ, რომ დღევანდელი მდგომარეობა „აირია მონასტერსა" ჰგავს, საცა ვერც მტრებს, ვერც მოყვრებს ერთმანეთი ვერ გაურჩევიათ და გუშინდელი მეგობრები უფრო გაასპიტებული მტრები არიან, ვიდრე ასწლოვანი და ათასწლოვანი ნამდვილი მტრები. გაზეთები იბადებიან, როგორც სოკოები და პირველსავე დღეს აცხადებენ: „ჩვენ ყველა არსებულ ორგანოსთან და მიმართულებასთან მოგვივა **კამათი**" და სხ. თითქო მარტო კამათისათვის იბადებიან (და კვდებიან კიდეც) და არა რაიმე დადებითი საქმის... თუ გასაკვირველად არა, გამოსარკვევად მაინც.

დღეს-დღეისობით ყველაფერი ირეულია და გაზეთების სიმრავლე მარტო ჩვენს უკულტურობასა ნიშნავს, ჩვენს ზერელობას ძრავალფეროვან სოციალურ, პოლიტიკურ და ეროვნულ საკითხებში. ვისურვოთ, რომ ორი სამი, მაგრამ ხეირიანი ორგანო გვქონდეს, მართლაც „ფესვებიანი" და არა ათასი და ისეთი უნიათო და წყალწყალა, როგორც დღესა ვხედავთ.

* * *

არა ამის სოციალისაგანი არს

(ს. გუსევ-ორენბურგსკისა).

სოფელ ეგორიევსკოეს ერთი უშვილებელი ტეე არტეა გარშემო; რამდენიმე ათეული ფერსი აქნება თავისი სიგრძე-სიგანით. შიგ ტბები არის მოფანტული. ოდესღაც ამ ტეეზე მდინარეს უკლია, მერე სხვა გზა მოუნახავს და ძველი კალაპოტის ნაშნად ხსენებული ტბები დაუტოვებია.

ეგორიევსკოელ მამაოს ეს ტეეცა და ეს ტბებიც გულში ისე ჰქონდა ჩავარდნილი, რომ თავის დარად მრევლიდან წასვლას არ აპირებდა, თუმცა ცოლი ამის გამო ბევრსაც ეჩხუბებოდა.

— აბა, იჯექ აგრე ჭოტივით ფუდურაში, და არ დაიძრა!—ეუბნებოდა ხოლმე წყრომით ფოფოდა.— საქმე იმითი გათავდება, რომ მე თვითონ წავალ არქიეპისკოპოსთან.

ქალი ჯავრობდა, შავ წარბებს იჭმუხვნიდა, ტუჩებს ითშლეკდა და ზიზღს ისტაცდა სახეზე; მამაო კიდევ ამ დროს საცოდავად, უმწეოდ გამოიყურებოდა.

— მერე და, საშენაო! უოქვამს მღვდელს ცოდისთვის ხელის ხმითა და ხელების საგსავით.

— წინდა-წინვე ვიცი, რასაც იტყვი. — გაუწყვეტია ბოლოს სიტყვა.— ბავშვებზე უნდა იფიქრო, ბავშვებზე! აბა, რითი გაზრდი? გამხმარი ბურის მეტი, სხვა შემოსავალი არა არის-რა აქა. რა, ქალაქნების სხმას ხომ არ დაიწყებ... მერე, ღვთის მადლით, დათვნიც ბლომად არის. სხვა მღვდლები მეფურ ცხოვრებას ატარებენ. ერთი ანტონოვსკოელ მამაოს უყვარე: სამი ისეთი შეჭელი ცხენი ჰყავს, რომ მტერს თვალი ზედ დარჩე-

*) სხვათაშორის, „ჩვენი ერის" თრიგინალობა იმაშიც გამოიხატა, რომ რუსულით შემოაქვს ჩვენში ტერმინოლოგია: ნარდონები, სანფარები, სანდინები და სხ.

ბა... გეგონება ერთი ვინმეაო! ჩვენ კი ერთი ფეხკინკილა ცხენიც ვერ გვიყიდნია... ვერსად გავსულვართ... იქნება გგონია, ადამიანი აქ ჯდომით რამე სიტკბოებასა გრძნობდეს?!

გამწყრალი ფოფოდია უკანასკნელ სიტყვებს ბოროტი ყვირილით იტყოდა ხოლმე.

ასეთი ლაპარაკი მამას მუდამ სტანჯავდა, სახედაღრემილი გადიოდ-გამოდიოდა ოთახში, წვერს იწიწკნიდა, ცოლის წინ ჩუმდებოდა, ჩაფიქრებული თვალებით აცქერდებოდა და წყნარად ეუბნებოდა:

— მერე და, საშენკა... საქმე ეგ ხომ არ არის. იქნება ჩვენი სამეფო სხვებზე უფრო უკეთესია. ეს მრევლი სწორეთ იმითია სახელგანთქმული, რომ ამისთანა მთელ ეპარქიაში ერთიც არ მოიპოვება. ფულები, შემოსავალი ჯერ კიდევ ვერსად წაგვივა ხელიდან. ამისთანას კი... ამისთანას ვერსადგან ვერ იშოვი.

— რა „ამისთანას“?

— მეუფის სახეს, მის ციურ სიმშვენიერეს ვხედავთ!

— აი, მოსართა გულს!—იტყოდა ხოლმე ფოფოდია და შორდებოდა მამას.

არ უნდოდა ქმრის ლაპარაკი მოესმინა.

ერთხელ, როგორღაც საღამოთი მამასთან მთავარი მოვიდა. შემოსდგა თუ არა კარებში ფეხი, ასწია სველი პარკი, რომელიც ხელში ეჭირა, და აღგზნებულმა დაიყვირა: ქორჭილებით!

ამ სიტყვების გაგონებაზე მამას წამსვე გული აუფანცქალდა. მთავრის უცნაურ გარეგნობისათვის ყურადღება არც კი მიუქცევია, მაშინვე ის დაიძახა. ჩქარა ვედრით წყალით! აფუსფუსდა; წყნარი მამა სულ სხვა ადამიანად გადაიქცა. ხან მთავრისაკენ გაექანებოდა ხოლმე და პარკს ხელს უსვამდა, ხან სამზარეულოში მირბოდა და დედაკაცს აჩქარებდა. მთავარი კი ქანდაკებასავით იდგა ზღურბლზე, წინ პარკი გამოეშვირა და მედიდურად იცქირებოდა. სრული ორი დღე იყო, რაც თავის საქმეს თავი მიანება და სადღაც მიიმალა. დღეს გამოცხადდა მარტო. მამას გადაწყვეტილი ჰქონდა, მეგობრულად დაეტუქსა თავისი თანაშემწე სამსახურის დატოისათვის, მაგრამ ყველაფერი გადაავიწყდა. ეხლა თევზების მეტი აღარა აგონდებოდა-რა. მთავარს ისე აჰბურძგნოდა თმები, რომ გეგონებოდათ იმის თავზე ქარიშხალს უბერიაო; წვერი მოსთელოდა; პირისახე ხელები და კაბა ტალახით მოსთხვროდა, აქა-იქ ხავსიც მოსდებოდა და ყველაფერი ეს ერთად ზედ შეჰხმობოდა, მთავრად ნაკურთხს წყალღმერთას დაჰმზგავსებოდა. როგორც მამასათვის, აგრეთვე მთავრისათვისაც ქვეყანაზე არაფერი არსებობდა რა პარკის გარდა, რომელიც ასე ამაყურად ეჭირა ხელში: არც მღვდლისათვის უთქვამს სალამი, არც მღვდლის ცოლისთვის, პირზე მარტო ქორჭილები-და ეკერა. მაშინაც კი ქორჭილები გაიძახოდა, როცა პარკი ჩამოართვეს, დარბაზში შეიყვანეს და სავარძელზე დასვეს.

მამაც ქორჭილებში იყო გართული.

— ღმერთო ჩემო!.. რანაირი ქორჭილებია!—იძახოდა აღტაცებული მღვდელი, რომელიც ვედრას დასტრიალებდა თავს, იხრებოდა და ჩასცქეროდა წყლის შიგ სიღრმეს, სადაც ნახევრად მიძინებული თევზები ზლაზვნით კუდს იქნევდნენ და მაშვიდით პირს აღებდნენ.—რა საუცხოვო ქორჭილებია! კაი კაპარჭინას ტოლა იქნება თითოა... მე არც კი მინახავს ამისთანები. მამაო მთავარო, სად იშოვეთ ესა?

— ორი დღეა, არაფერი მიჭამია.—სთქვა მთავარმა და თან მაგიდას გადახედა: მღვდლის ცოლი ჩაის აკეთებდა.

— წავაწყდი ისეთ ადგილს... და დავიკარგე.

მღვდელი ღელავდა.

— სადა ეგა, სადა?

ამ დროს მოვიდა მთავრის ცოლი და, დაინახა თუ არა მთავარი, ხელები გაასავსავა.

— მე ირიდო, შენა! ეგ სად, რომელ ჭაობებში ამოგორებულხარ?!—ჰკითხა ქმარს ქალმა და თმებიდან ხავსი გააცალა. ბოლოს მხრებში ხელი წაჰკრა და უთხრა:—წადი ჩქარა, წადი, პირი დაიბანე!

მთავარმა დახედა თავის თავსა და წამოწითლდა; ადგა, გავიდა სამზარეულოში მოიბანა, ქურა პირისახე, გაიწმინდა ტანისამოსი, მომხიარულდა და ხელების ფშვნეტით დაბრუნდა უკან. შესასვლელისთანავე სუფრას დაუწყო ცქერა. ძალიან ჰშიოდა. მიიწვიეს თუ არა, მაშინვე იერიში მიიტანა საჭმელებზე: ხან თეფშებს იდგამდა წინა, ხან ლამბაქებსა; ხან ახრამუნებდა, აკნატუნებდა, ხან ღეჭავდა, ხან სვამდა; ხშირად, ჩანგალსაც არ იღებდა ხელში და საჭმელს ისე გიახლებოდათ. თან მღვდლის ცოლს თვალს არიდებდა: იცოდა, რომ ფოფოდიას სიხარბე ეჯავრებოდა. ჭამის დროს მთავარი სულ ლაპარაკობდა და ცოლს დიდ აღტაცებასა ჰგვრიდა.

— წავედი გასართობათ.—ამბობდა მთავარი.—ცოტაოდენი თევზი უნდა დამეჭირა, სადილისათვის თევზის წვენი მინდოდა, მაგრამ ფიქრებმა გამიტაცეს, გზა ამერია და მივადექი ერთს უცნობ ადგილს, რომელიც თითქოს საჩვენოც იყო, თითქოს არც საჩვენო იყო; ერთი ძველი წისქვილი დამხვდა, ესეც თან მეცნობოდა კიდეც, თანაც არ მეცნობოდა, თითქოს როდისღაც მენახა კიდეც, თითქოს არც მენახა. ტყეც სხვანაირი იყო. მაშინ ზარმა ამიტანა, სიზმარში მეგონა ჩემი თავი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა სიჩუმე იყო! არც ფრინველის ხმა ისმოდა, არც ადამიანისა. მაღლიდან ყვავმა ჩამოშჩხავლა: გული გამისკდა, შეკვნტა. ძალგს-ძალობით მივხედი, რომ ტბის კიდეს ვიყავი... სუფთოვო ადგილია, სუფთოვო!

მამაო მოხრობელს თვალს არ აშორებდა. მთავრის სიტყვების ზეგავლენით რაღაც სიდუმლო მეღოდიების ძაფები ებმოდა გულში. მამაო ჩაფიქრდა, თვალები გაუდიდდა. ბატარა ხანს უკან მთავრისაკენ გაიშვირა ხელი და წყნარად იკითხა: სად არის მაგეთი სავერველი ადგილი. მთავარმა შეხედა მღვდელს და ცოტა ხანს გაჩუმდა ბოლოს თვალები მოჭუტა და სთქვა:

— მიაკუტინის ღელე!

ადგზნებული მამაო წამოდგა ზეზე, მიდგა სკამი გვერდზე და დაიძახა:

— აგრე ახლოსაა! ამაღამვე გავემგზავრები, რომ სწორედ განთიადისას იქ ვიყო.

მთავარმა გაიქნ-გამოიქნია ხელები და მხიარულად უთხრა თავის უფროსს:

— მე მუდამ მზად გახლავარ!— მაგრამ ამ დროს ფოფოდიას გადახედა, ცოტა უხერხულობა იგრძნო და თავი თეფშისაკენ წაიღო. ფოფოდიას შუბლი შეეკრა და მრისხანედ გამოიყურებოდა.

— რაგორც გეტყობა, შენ მთლად გადარეულხარ, ნიკოლოზ!—უთხრა ცივად და მკაცრი კილოთი ცოლმა მღვდელსა. თუ დაგავიწყდა, რომ მრეველი დასაფლული გავს?

— მაგრამ ხომ... საშენკა...

— სამი დღის უკან იარმუკაა,—განაგრძობდა თავისას ფოფოდია,—და შენ კი ჯერ ნახევარ სოფელშიაც არა გაქვს ბური მოგრეფილი: მერე... წადება არ უნდა ბურსა? ორმოცი გერსი გზა იქნება. რა, უფუდოდ დავრჩეთ? საზოგადოთ შენ...— ქალმა შუბლზე უჩვენა.—ფიქრობ რამეზე თუ არა?

— მარტო სადილობამდე, საშენკა!— სთქვა ახლარებით მამაომ.—რაა... სულ კრიფე და კრიფე.. სულსაც უნდა მოსვენება.

— მაგრამ შენ ხომ... ფოფოდიას უფრო და უფრო გრძელ ემდგრეოდა.—ხვალ მიცვალებული გაკვს!

— მიცვალებული,— გაბედა მთავარმა და სთქვა,— არ გაიქცევა, საშურებელი არაფერი აქვს.

— მართალია!—დაუკრა კვერი მამაომ.—სადამოზე აუცილებ ანდერძს.

ფოფოდიამ ცოტა არ იყოს მრისხანედ გადახედა მთავარსა.

— მამაო მთავარო, თქვენ გიჯობთ დაჩუმდეთ! თქვენ კარგა ხანია ბური მოგრეფეთ, ოჯახი უნუგეშოდ არ დასტოვეთ... რასაკვირველია, შეგიძლიანთ ისეარნოთ, თუ კი სურვილი გაქვთ. ჩვენ კი ვინ ვართ, რაში გვკითხება ჩვენი ოჯახი... ჩვენ მხოლოდ ვიმეორნოთ! ვინ ჩვენ რაგორ მოვგრეფავთ ბურსა [illegible] საქმეა! ჩვენ ჩვენს მოვალეობაზე სრულიად არა ვფიქრობთ... მარტო ქეიფზე ვართ გადამდგარნი. ფული გვძაგს... ასკარებაა! ჩვენ მხოლოდ ტუე გვინდა, ტუე და ტუე. მართლაც რომ ჩვენ ტუედმერთა უნდა ვიყოთ და არა მღვდელი!

ადელგებულმა მამაომ ხელები გაასავსავა.

— უკაცრავად საშენკა, ტუეულ-უბრალოდ ნუ იხარჯები,—სთქვა წყნარად,—მე ეხლა შენ ადარ გაგიგონებ...

ფოფოდიამ ბოროტად გაიცინა.

— ეხლაო?! მერე სხვა დროს როდისდა გაგიგონებია ჭკვიანი სიტყვა? განა შენ...

ატუდა ოჯაუური ჩხუბი.

ადელგებულმა მამაომ სიარული დაიწყო, ფოფოდიამ კიდევ გაბა თავისებური ლაბარაკი და ადარ გაათავა. სულ მდიდარ მრეველებს და სხვა მღვდლების კეთილ ცხოვრებას იგონებდა: შენი სიკვდილის კამო ვერც მდიდარ მრეველს ვედირსებით და ვერც კეთილ ცხოვრებასაო, ეუბნებოდა ქმარსა თავისივე ნათქვამით გადიზიანებული ფოფოდია. მამაო სწრაფის ნაბიჯით გადი-გამოდიოდა ოთახში ცდილობდა არ გაეგონა ცოლის გულქვა და ბოროტი სიტყვები. მთავარს თავი ჩაეღუნა და ისე იჯდა: თეფშს ჩასცქეროდა და გაუინულ ქონზე თითით სახეები გამოჭყვიტა. მთავრის ცოლი კიდევ მიგუნჭულიეო სავარძლის კუთხეში და ცქერით სტკბებოდა: მართალია თვითონ კარგად იყო ქმართან, უსაიმოვნობა არ მოსდიოდა, მაგრამ სხვის ოჯახური კინკლაობა კი უყვარდა.

მამაომ ვეღარ მოითმინა: სიბრაზისაგან იხრჩობოდა.

ეტბად გაჩერდა ცოლის წინ და უთხრა:

— ჰო, კარგი... კარგი! შენ ხომ გინდოდა არქიელთან წასულიყავ? წადი! ნებას გაძლევ! წადი! რაგორც შენ გულს უნდოდეს ისეთი ადგილი ამოირჩიე... წადი იდავიდარაბე! კარგი... დეე ისე იყოს, რაგორც შენ გინდა! მხოლოდ ეხლა კი თავი დამანებე... მომასვენე! ნუ მიტანჯავ სულსა...

მღვდელმა ერთი კიდევ გაიარ-გამოიარა ოთახში და მერე სამზარეულოში გავარდა. ფოფოდია გაჩუმდა და ფიქრს მიეცა, მარტო წარბებს და ათამაშებდა. მთავარმა გაბედა და ქვეშ-ქვეშ გახედა მღვდლის ცოლსა; ამ დროს თვალი მოჰკრა, რომ მამაო სამზარეულოდან სიდუმლოდ რაღაცას ანიშნებდა ადგა და გავიდა.

— მამაო მთავარო,—წასჩურჩულა ადელგებულმა მამაომ,—გაქვთ.

— რა?

— ჭიაყელები.

— მთელი ხროვა... აი ამოდენა.—აჩვენა ხელებით მთავარმა.

— მაშ თქვენ,—წასჩურჩულა კიდევ მამაომ, წადით, მოემზადეთ. წამოიღეთ ჭიაყელები, ჩემთვის ნემსკავები, ქოლგიც არ დაივიწყოთ. რამე სასუსნავიც გამოიყოლეთ თანა. თქვენ ცოლს უთხარით, სადა ვიქნებით, ვინცობაა ასეთი საქმე გამოჩნდეს შეგვატყობინებს. მე კი... სთქვა მღვდელმა და ქუდი დაიხურა, – ამაზე მეტი აღარ შემიძლიან! იმის სიტყვები ცივი წყალივით მოქმედობს ჩემზე. დეე რაც უნდა ქნას, ღმერთმა ხელი მოუმართოს, დეე იდავიდარებოს... ასეთია ჩემი ბედი—დღეს იქნება თუ ხვალე, აქედან უნდა წავიდე. ეს უკანასკნელად მაინც...

— აბა, მამაო, რასა ბრძანებთ, ყურადღებას ნუ მიაქცევთ... დედაკაცის სიტყვებია... ჩაივლის.

— არა, არა... აგრე, მე ნელ-ნელა ვივლი, სოფლის გარეთ გავალ, თქვენ ცოტა ხნის უკან წამომეწიეთ.

მამაო წავიდა.

სოფელზე ნელ-ნელა სულაც არ უვლია. შავი სწრაფი აჩრდილივით, მიეშურებოდა ღამის სიბნელეში ღობეებ და ქოხებ შორის და რაღაცას თავისთვის ბუტბუტებდა. ფოფოდიის სიტყვები ჯერ კიდევ უტრიალებდა თავში, არ ასვენებდა, და გულს ბოღმა აწვებოდა. მაგრამ, როცა სოფელს გასცილდა, ისეთი თვალით შეხედა ცასა, რომ გეგონებოდათ ეს ამოდენა ურიცხვი ვარსკვლავები თავის არსებაში მოათავსაო. ცოტათი შედგა და ერთი ღონივრად ამოისუნთქა; გრილსა და სველ ჰაერთან ერთად მამაოს გულს სიხარული მოეფინა. ეხლა ისე აღარ მიეშურებოდა, ხარბად ეწაფებოდა სუფთა ჰაერს და ხარბის თვალით უცქეროდა გარემოს. ტყეში მომავალი ბილიკი სიბნელეში იკარგებოდა. წყნარ ღამეში ისე გამოიყურებოდა მახლობელი ტყე, რომ გეგონებოდათ მოჯადოებული ძალით არის შეპყრობილიო. ტყე ძილში თითქოს ვარსკვლავებზე ოცნებობდა. იმისი თვითეული ხე თითქოს ნორჩ სურნელებას ისუნთქავდა.

მღვდელმა ტყის ნაპირას მოუცადა მთავარს.

— ჰეი, ჰე...ი!—გაისმა ბნელში ხმა.

— ჰე...ი! უპასუხა მძიმეთ მამაომ და გაიცინა.

უცბად იგრძნო რომ მთავარი ძალიან უყვარდა. ღიმილით მიმოავლო თვალი ვარსკვლავებს. მოაგონდა ფოფოდია: ბნელ და უბედურ ადგილად წარმოუდგა.

— ეჰ! დეე რაც უნდა ის ქნას! ეს ვარსკვლავები ხომ... ყველგან არის...

ღამის უფსკრულიდან მთავარმა ამოიყურყუმელავა. მხრებზე ჩანგლები უჩხრიალებდა, გვერდზე კიდევ ქოლგი უჩხაკუნებდა, დრო გამოშვებით პაპიროსის შუქი სახეს უნათებდა: მხიარულად იყო. მთავარს მოსვლისას მღვდლისათვის არაფერი უთქვამს რა; ორივე მაშინათვე ტყეს შეერივნენ. მიდიოდნენ ჩუმად ფიქრებში [illegible]. ხშირ შავ ფოთლებს შორის ხან სად მოჩანდნენ ვარსკვლავები და ხან სად. თითქოს ხან მოსცურავდნენ, ხან მისცურავდნენ და იმალებოდნენ. ტყეს ფეროვნება დაჰკარგოდა სიბნელის გამო; სახე აღარ ეტყობოდა. მამაოს ტყე რაღაც, ფიქრით მოცულ, საიდუმლოთა სამეფოდ წარმოუდგა. ასე ეგონა, აქ რომელიღაც ცოცხალი კეთილი არსება ოცნების ბურანში გახვეული და გამოურკვეველი აზრები ჩაჰჭვრის გულსაო.

— დიდებულია!—სთქვა ხმა მაღლა მთავარმა და მაგრა ამოიოხრა.

მთავრის ხმამ და ამოოხვრამ თითქოს რაღაც ჩურჩული გამოიწვია აქეთ-იქითოს, თითქოს შორს ღამის სიბნელეში ვიღაც აახმაურა. მღვდელს თვალწინ ტყის პაწაწინა ველები წამოუდგა: მთავრის ხმას შეემოთავებინა ვარსკვლავების შუქით ოდნავ განათებული ველები—კურდღლები დამფრთხალიყვნენ და სმენად ქცეულიყვნენ, ფრინველებს ნამძინარევი თვალები დაეჭყიტათ.

— წყნარად, მამაო მთავარო,—უთხრა მღვდელმა მთავარს დაბალის ხმით.—ხედავთ, რა სიდიადეა გარშემო! გახსოვთ, ღმერთი მოსეს სწორედ მაშინ ელაპარაკებოდა როცა სიჩუმე ჩამოვარდა! კარგა მახსოვს ეს!

— ეს ღმერთი ხომ ჰგო და ჰგო,—სთქვა მთავარმა,—მაგრამ პართენი აღარ გახსოვთ?

მერე რა?

— კაცმა დაიწყევლა! ვინ იცის, რა დაინახა აქა, როცა გზა დაკარგა. კიდევ კარგი იქვე ახლოს ველზე გლეხები ღამეს ათევდნენ, გაიგონეს როგორ უყეფდა, და ჯაგებს მოამტვრევდა. იმდენს... მგლის სახე დასდებოდა: სახე ფქვილივით გასთეთრებოდა და კბილები დაეკრიჭა. მას აქეთ კაცი სულ გამოიცვალა...

— მე კი...

მღვდელმა წყნარად გაიღიმა.

— არ შემეშინდებოდა! მე შემიძლიან აქა ერთმა ვიარო მთელი ღამე... არ დავიძინო... ვიჯდე... ყური ვუგდო და ფიქრს მივეცე. აქ ხომ ყველაფერი ცოცხალია, ყველაფერს ღმერთი ასულდგმულებს! როგორც ადამიანში, ისე ყველაფერში უთვლელ ბალახში, ღეროებში, ფოთლებში, ტოტებში—სისხლი, წვენი დის... ჩვენსავით ყველაფერი სცოცხლობს. ხომ გახსოვთ, როგორ დადიოდა ღმერთი სამოთხეში და ადამს დაეძებდა. მხოლოდ მაშინ ჰხედავდნენ იმასა. ეხლა... იქნება ეხლაც დადის, აქ ახლოს... და ჩვენ გვიცქერის. მაგრამ ეხლა ჩვენთვის უჩინარია და ვერა ვხედავთ.

— ეჰ, ეგ ხომ ის გამოდის, — უპასუხა ხუმრობის კილოთი მთავარმა, რომელმაც ისე მიიხედ-მოიხედა, თითქოს შეეშინდაო, — რომ კაცმა აღარ უნდა შეიგინოს! მე მაგის გარჩევაში არ შევდივარ. ჩემთვის მარტო ტუჟ... ტუჟ და სხვა არაფერი. კარგადა ვგრძნობ თავს და ქებას საკმარისია!

მთავარი შეჩერდა, მიიხედ-მოიხედა და უცბად გადაეშვა ბუჩქებში, თან მღვდელსაც დაუძახა!

— აი აქეთ... მომყევით.

ირ. სონღულაშვილი.

(დასასრული იქნება).

პასუხი „სახალხო გაზეთს“

ჩვენი ჟურნალის წარსულ ნომერში ჩვენ ვრცლად შევეხეთ ტერიტორიალურ საკითხს და არა მარტო **ვარღვევდით** ფედერალისტების დებულებათა და მათს უნიადაგო ცილისწამებას ჩვენდამი, არამედ ვარკვევდით ჩვენს საკუთარ პოზიციასაც. „სახალხო გაზეთმა“ პასუხის მაგიერ, იმის მაგიერ, რომ დაენახვებინა მკითხველისათვის თუ როგორ ვცდებით ჩვენ და როგორი მართალნი არიან ისინი, — **ჩვეულებრივად** ყურადღება მიაქცია მარტო ერთს უმნიშვნელო ადგილს და გვეკითხება: აბა, გვიჩვენეთ ის **უტყუარი** საბუთები, რომლის ძალითაც ფედერალისტები მხარს უჭერდნენ ბიუროკრატიის პროექტსაო. ჩვენ გვიკვირს ასეთი შეკითხვა; ჯერ ერთი იმიტომ, რომ „სახალხო გაზეთმა“ უკეთ იცის, რომ ფედერალისტებმა არამცთუ ბორჩალოს, ახალქალაქის და ახალციხის მაზრები *), არამედ ზაქათალის ოლქი და აფხაზეთიც სხვას დაუთმეს; მეორეც — **გაკვრით** ამ **საბუთებზედ** ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი, მაგრამ ფედერალ. ყური წაიყრუეს და, რაც უმთავრესია: ასეთი შეკითხვა პროვოკაცია არის, რომ ჩვენ **გვათქმევინონ** და შემდეგ თვითონვე გვეკიცინონ: უყურეთ, როგორი მაბეზღრები არიანო... და საკითხი **გადაიტანონ სხვა მხარეს**. ეს ჩვეულებრივი ხრიკია: როდესაც „სახალხო გაზეთს“ პირდაპირ დაუყენებ „საქმეს მისას საგმიროს“ და გასავალი აღარა აქვს, მაშინვე ცდილობს საკითხი **სხვა სფეროში** გადაიტანოს; მაგრამ სირაქლემასავით როცა ქვიშაში თავსა მალავთ, გავიწყდებათ, რომ მთელი ტანი მაყურებელთა და მკითხველთა ხელშია.

ასე მოიქცნენ მაშინ, როდესაც ხიზანთა საკითხის შესახებ ვრცელი წერილი დავბეჭდეთ და მარტო ისღა ბრძანეს, რომ ღვარძლიანი წერილიაო და შემდეგში გაჩვენებთო, [illegible] და მიაძინეს მკითხველის ყურადღება; [illegible] მოიქცნენ გელოვანის ინციდენტში და „ორი თვის ისტორიაზედ“ გვიპასუხეს — „მაგარ“ სიტყვების ამოწერით: — როგორ ილანძღებიანო და მთავარ ბრალდებათ გვერდი აუხვიეს; დღეს „ტერიტორიალურ საკითხში“ ვერ იპოვნეს ვერც „ღვარძლი“, ვერც „სალანძღავი“ სიტყვები, რომ **ეთიკისაკენ** გაეპარებინათ მკითხველის ყურადღება და პასუხის მაგიერ იმაზედ, რასაც **გარკვეული მნიშვნელობა** აქვს ქართველი ერისათვისაც და პოლიტიკურ პარტიისათვისაც, გვეკითხებიან მარტო: აბა უტყუარი საბუთებიო... როცა **კარგად იციან ამ უტყუარ საბუთების** ძალა სადა მარხია.

ასე არ იქცევა ის გაზეთი, რომელსაც გარკვეული პოზიცია უჭირავს, ასე არ იქცევა ის მიმართულება, რომელსაც სურს ნიღაბ-ჩამოხსნილი ეჩვენებოდეს მტერთაც და მოყვარეთაც.

მაგრამ ასეთ კეკემალურობასაც ბოლო აქვს და თავისიანებსაც აღარა სჯერათ-რა თქვენი.

რ. გ.

პრესა

„ჩვენი ერის“ 26 მარტის ნომერში თ. ღლონტი რიხიანად აცხადებს, რომ ქართულ ტერიტორიას სომხების მხრით არავითარი ხიფათი არ მოელისო.

…„ყველა უნდა ხედავდეს, საიდანაც მოდის იგი საშინელება, და სწორედ ამ მხარეს უნდა მივაქციოთ სათანადო ყურადღება, სომხებისა და თათრების შიში ჩვენ არა გვაქვს, ჩვენ მოვითხოვთ თავისუფალი მეზობლების თავისუფლად მეტოქეობას…

ეს საშინელება მხოლოდ მთავრობისაგან მოგველის ჩვენც ისე, როგორც სომხებს და თათრებს ერევნისა და განჯის გუბერნიებში რომელიც სისტემატიურად გვაცლის ადგილებს და რუსულ კოლონიებს აშენებსო.“

გასაოცარი თანხმობაა აქ, ღლონტისა

---

*) როგორც გულისხმობს პროექტი.

და იშხანიანის შეხედულობის შორის. იშხანიანი სწერს: ქართველი ნაციონალისტები მხოლოდ სომხების წინააღმდეგ ილაშქრებენ და ყურადღებას არ აქცევენ, როდესაც მათ ტერიტორიას რუსები, თათრები და სხვ. ისაკუთრებენო. სიცრუეა ესა! ჩვენ ქართულ ტერიტორიას ვიცავთ ყველასაგან ერთნაირად, მხოლოდ იმას კი ხელს ვერ დავაფარებთ, როგორ ამას ღლონტი სჩადის, რომ სომხები გამალებული იძენენ ჩვენს მიწა-წყალს და თითქმის ივსებენ იმ დანაკლისს, რომელსაც მთავრობა მათ ერევნისა და განჯის გუბერნიაში აყენებს.

თუ არა და აბა ერთი ცოტაოდენი სტატისტიკური ცნობებიც გადაათვალიეროს ღლონტიმ, სანამ თითონ დაპირებისამებრ „სტატასტიკურ ცნობებს საგანგებოდ აალაპარაკებდეს“.

„ზაკ.რეჩის 70 ნომ. ბ.გრუზინიც ეხება სწორედ ამ საკითხს. იგი აღნიშნავს, რომ როგორც გერმანიის ნაციონალური ცხოვრების ლოზუნგია „Drang nach osten“, აგრედვე არ უნდა დავივიწყოთ, რომ სომხებსაც აქვთ ისტორიულად შემუშავებული ლოზუნგები „ჩრდილოეთისაკენ“! და ამიტომაცაა უმთავრესად სომხები რომ ჩვენ შიგ შუაგულში გვეჭრებიანო. საინტერესოა ის სტატისტიკური ცნობებიც, რომელნიც ავტორს მოჰყავს.

...„ამ ლტოლვილების ზედგავლენით, ომის გათავების შემდეგ (1826 28 წლებში) ორი წლის განმავლობაში 1828-დან—1830 წ. გადმოსახლდა სამხრეთიდან 40,000 მეტი სპარსელი სომეხი და 84,000 მეტი ოსმალეთის სომეხი... მათ მიუზომეს 200,000 დესეტინა მეტი საუკეთესო სახაზინო მიწები და ნაყიდია ორ მილიონისაზე მეტი თათრებისაგან. თუ ამას მიუმატებთ არა ოფიციალურად გადმოსახლებულთ, მათი რიცხვი ორას ათას ბევრად გადააჭარბებს... ყირიმის ომის შემდეგაც იყო ტალღა გადმოსახლებულთა, მაგრამ ოფიციალურად აღნუსხული არ არის რაოდენობა 1864—1876 წლები შესანიშნავია იმით, რომ მთავრობამ მცირე აზიიდან გადმოასახლა საუკეთესო ადგილებზე შავი ზღვის ნაპირებზე დიდი რიცხვი სომეხთა. 1877—8 წლებშიაც ყარსის მიდამოებს ასე ორმოცდა ათი ათას სომეხამდე ეწვია ისევ მცირე აზიიდან; გენერალ ტერ-ღუკასოვმაც ოცდა თხუთმეტი ათასი მცირე აზიელი სომეხი გადმოასახლა სურმალინის მაზრაში. ოსმალეთის არეულობის წყალობით ამიერ კავკასიას ასი ათასამდე სომეხი კიდევ შეემატა. ლენ. ად. შერემეტიევის გამოანგარიშებით 1,300,000 ამიერ კავკასიის სომხებიდან ერთი მილიონი ადგილობრივ მკვიდრნი არ არიან და მთავრობამ ჩამოასახლაო“..

ასეთია „ბუნებრივი“ ზრდა სომხური ერისა და ამ ბედის მაძიებელთა საშიშროებისაგან თავის დაცვა და სიფხიზლე თურმე შეცდომა და სიბრყვე ყოფილა ზოგიერთა აზრით. ღმერთი კაცს რომ გაუწყრება—გონებას წაართმევსო, ამაზეა ნათქვამი.

„ზაკავკაზსკაია რეჩის“ 66 ნომერში მოთავსებულია პატარა წერილი ბ. აკორდისა თბ. ქალაქის მცხოვრებთა აღრიცხვის შესახებ. ავტორი გულისწყრომით აღნიშნავს, თუ რაგვარ ოინებს ჩადის ქალაქის საბჭო, რომ როგორმე ქართველთა რიცხვი დაამციროს და სომხებისა კი გაადიდოს. ამ მიზნისთვის საბჭო უხვად სარგებლობს ქალაქის სამ მილიონიან ბიუჯეტით და თავის სურვილზე ათამაშებს ცნობების მომკრეფ კომისიას და სტატისტიურ ბიუროსაკო.

...„რამდენად ტენდენციურია ეს ორგანიზაციები იქიდანაც სჩანს, რომ სომეხს ყარაბახიდან, ვანიდან, ეჩმიაძინიდან, სათათრეთიდან და სხ. ყველას წმინდა სომეხად სთვლის და არა ჰყოფს ჯგუფებად; ამავე დროს ქართველებს ჰყოფენ: ქართველებად, იმერლებად, გურულებად და სხ. უცოდინრობის საქმე შეუძლებელია ეს იყოს, რადგანაც თბილისში ვინ არ იცის, რომ შუშელ და ეჩმიაძინელ სომეხთა შორის მეტი განსხვავებაა, ვიდრე ქართლელსა და იმერელს შორის. ესევე ტენდენცია უმწვერვალესობას იქ აღწევს, სადაც ასიათასი ქართველობა 66,000-მდე დაჰყავთ‘‘...

ნუ თუ ამის შემდეგ ქვებიც არ აღაღადებიანო, სწერს ავტორი. ახლა სომეხთა ,,მეცნიერთ‘‘ და მათ ლაქია მეტიჩარა ქართველებსაცა ჰკითხეთ, თუ ,,მეცნიერულად‘‘ არ დაგიმტკიცონ, რომ ეს ასეც უნდა იყოსო.

უკანასკნელი ამბები

მეფის მოადგილის საბჭოში. ქუთაისის გუბერნიის თავ.-აზ. წინამძღოლმა თ-დ დ. ო. ნიჟარაძემ დეპეშით აცნობა ჩვენს რედაქციას, რომ,,ზაკ.

რეჩის" 71 ნომერში შეცდომითაა აღნიშნული, ვითომ საერობო დაწესებულებაა შემოღების საჭიროება მხოლოდ თბილისის გუბერნიის გადასახადების შემტანთა წარმომადგენლებს განეცხადებინოთ. ეს საჭიროება ერთხმად აღიარა ყველა გუბერნიის და აგრედვე „ჩერნომორსკი გუბერნიის" წარმომადგენელმა ბ. შჩერბინამ. ეს მოხსენება შემუშავებული იყო წარმომადგენელთა კერძო თათბირზე. იგი წაიკითხა ნამესტნიკის საბჭოში თბილისის გუბერნიის თავ.-აზ. წინამძღოლმა თ-დ კ. აფხაზმა და შეტანილია კრების ოქმებში.

— —

25 მარტს არჩილ ჯორჯაძის წლის თავზე გადახდილი იყო პანაშვიდი, რომელსაც დიდი საზოგადოება დაესწრო. პანაშვიდის გათავების შემდეგ, კიდევ დიდხანს იდგნენ პატიოსან მამულიშვილის საფლავთან და თითქოს უკმაყოფილო დაიშალა საზოგადოება, რომ არც ახლა იყო წარმოთქმული სიტყვა, როგორც არ იყო დამარხვის დღესა.

— —

27 აპრილს მოხდება კრება ქართველ სცენის მოყვარეთა ქართულ თეატრის დარბაზში. კრების მომწყობ კომისიამ შეატყობინა ყველა დაწესებულებათ და დრამ. საზოგაედოებას.

— —

გამოვიდა და ისყიდება დ. ჯანაშვილის წიგნი: 1) ქართული ეკლესიის გამოყოფა ბერძენთა ეკლესიიდან; 2) ქართველი ქალები. წიგნი სამას გვერდამდი არის, კარგადაა გამოცემული და ღირს თხუთმეტი შაური. გამოცემულია ი. კერესელიძის მიერ.

— —

უთანხმოება „ნოვოე დელოს" რედაქციაში. „რადგანაც შეუძლებლად მიგვაჩნია ვიმუშაოთ იმ გაზეთში, სადაც იურიდიულ რედაქტორ-გამომცემლად ბ. ცერელოვია, სარედაქციო კოლეგია ერთიანად თავს ანებებს ამ გაზეთში თანამშრომლობას"... ხელს აწერენ კოლეგიის მონდობილეობით: ს. ყარიბოვი, ნ. აუშტროვი და ლ. ყიფიანი — „დაუდეგარი ლევანი!"

— —

16 მარტს პეტერბურგში კ. ფოცხვერაშვილისა და ცნობილი არხანგელსკის ლოტბარობით გამართული ქართული სასულიერო კონცერტი, როგორც გვწერენ, ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. კონცერტს დასწრებია რჩეული, საქმის მცოდნე საზოგადოება. დიდი ყურადღებით და აღტაცებით მოუსმენიათ. თუმცა სასულიერო კონცერტზე ტაში აღკრძალულია, მაგრამ ამ დინჯ საზოგადოებასაც ვერ მოუთმენია და ტაშიც დაუკრავთ. სატახტო ქალაქის გაზეთები საყურადღებო რეცენზიებს ათავსებენ ამ კონცერტის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფასი სამარე

ყოველ ერსა აქვს ძვირფასი სამარე,
სამარე თავის საუკეთესო შვილთა.
მაგრამ უძვირფასეს სამარედ ერი სთვლის თავის პატრიოტთა სამარეს.
სიყვარულით უვლის, ჰპატრონობს და მუდმივ იგონებს მას.
ასეთია სამარე დიდ ქართველ პატრიოტისაც ა. ჯორჯაძისა, რომლის ხსოვნას ქართველმა საზოგადოებამ, მისი სიკვდილის წლის თავზედ, წარსულ კვირას, პატივი სცა და სიყვარულით მოიგონა.
არც ქართველ ერს დაავიწყდება ეს სამარე— სამარე ა. ჯორჯაძისა როგორც გულწრფელი პატრიოტისა.
საქართველო, ქართველი ერი!
აი მისი მუდმივი ფიქრები.
ქართველ ერის თავისუფალი ზრდა-განვითარება,
საქართველოს ცხოვრების მოწყობა-გამაგრება!
აი მისი წმიდათა წმიდა, რომლისთვისაც იგი დაუღალავად იბრძოდა, სწერდა, შრომობდა, იტანჯებოდა.
ჩაუკვირდით მის მრავალ ნაწერებს და თქვენ თვალწინ გადაგეშლებათ ნათელი სულისკვეთება ნამდვილ ქართველი პატრიოტისა.
ა. ჯორჯაძეს ყველაფერი მიაქვს ქართველ ეროვნულ იდეის განმტკიცების საკურთხეველზედ.
იბრძვის ქართულ ტერიტორიის მთლიანობისათვის.
იბრძვის ქართველ ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინებისათვის.
იბრძვის ქართველ მშრომელ ხალხის ცხოვრების პირობათა გაუმჯობესებისათვის.
ამისათვის ბევრჯელ სცდილობს:
შეარიგოს შეურიგებელი,
მოარჯულოს ურჯული,
გაამხნეოს მშრომელი,
გაამამაცოს ლაჩარი.

სცდილობს სოციალიზმიც კი ეროვნულ იდეის განმტკიცებას დაახმაროს!

ა. ჯორჯაძე თავით-ფეხამდე ქართველი პატრიოტია,

პატრიოტი დემოკრატი.

მისი ტანჯვაც საშინელია.

იგი იტანჯებოდა, რომ დღევანდელ ჯგუფობრივ დაქუცმაცებას ეროვნულ საქმიანობისათვის ზიანი მოაქვს და მუდმივ, დაჟინებით მოუწოდებდა მოპირდაპირეებს:

შეთანხმდით!

და ამ შეთანხმების იმედით სიკვდილამდის ოცნებობდა.

იგი იტანჯებოდა, რომ აქამდის ახალი წმინდა ეროვნული შეჯგუფება იგვიანებს და ამით დიდ უკუღმართობას ჰბადებს ქართულ ცხოვრებაში:

„ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეს (დაგვიანება) არის დიდი უკუღმართობა და ღრმა ანომალია"-ო, სწერდა უკანასკნელ წლებში ა. ჯორჯაძე.

ერთი სიტყვით, ჩვენ წინ იშლება ტანჯული სული და გული პატიოსან ქართველ პატრიოტისა.

სული და გული გამსჭვალული უსაზღვრო სიყვარულით ქართველ ერის და საქართველოსადმი...

რაც უნდა სთქვან მისმა მოწინააღმდეგებმა, როგორც უნდათ ახსნან და განმარტონ ა. ჯორჯაძის შრომა, მწერლობა, მოღვაწეობა მისმა დღევანდელმა „თანამოაზრეებმა", იმას ვერ ამოფხვრიან, რომ იგი იყო ჯერ ქართველი პატრიოტი.

ამის საბუთები მის მრავალფეროვან და საყურადღებო ნაწერებში მრავლად მოიპოვება.

აი რატომ, ქართველ ერისათვის ძვირფასი უნდა იყოს ხსოვნა ამ, მისი საუკეთესო შვილისა, აი რატომ ძვირფასია ის მისი სამარეც, რომლის გარშემო იყრის თავს **მთელი** ქართველი ერი და მისი პარტიული მისაკუთრება არავის შეუძლიან. იმ სამარეში მარხია ერთ-ერთი დიდი პატრიოტი ქართველი ერისა — ა. ჯორჯაძე.

ეკალი.

ბიბლიოგრაფია

ჟურნალ „განათლების" უკანასკნელ ნომერში შემდეგია დაბეჭდილი ჩვენი პატივცემული თანამშრომელის ნაწარმოებზედ.

ალ. ფრონელი. „მთის არწივი შამილი". ისტორიული ამბავი. ჟურ. „კლდის" გამოცემა.

არა მგონია ქართველ მკითხველთა შორის მოიძებნებოდეს ისეთი ადამიანი, რომელსაც არ წაეკითხოს ბ-ნ ფრონელის „ამბოხება კახეთისა და მთიულეთი". არა მგონია თვით მკითხველს არ განეცადოს ის ღრმა და ძვირფასი განცდანი, რომელიც თვით ბ-ნ ფრონელს განუცდია; ისიც მრწამს, რომ მკითხველი, უმეტესად, ორ ობოლს ცრემლს მაინც დააფრქვევდა იმ წარსულს დროს, როდესაც, ერთი ქართველის თქმისა არ იყოს „ჩვენც კაცნი ვყოფილვართ თურმე და ქუდიც თავზე გვხურებიათო".

ამავე მაღლიან კალმის პატრონს ეკუთვნის ამ მოკლე ხანში გამოცემული პატარა წიგნაკი სათაურით „მთის არწივი შამილი". ბ-ნი ფრონელი მხოლოდ ისტორიული ამბის მთხრობელი არ არის; იგი ამასთანავე ნიჭიერი მხატვარია, რომელსაც ძალ-უძს ნათლად, ცხოვლად დახატოს რომელიმე სურათი, რომელიც მკითხველს გაიტაცებს, დაატკბობს. მშვენიერი, ტკბილი ენა გხიბლავს და ყურთა სმენას გიტკბობს. მწყობრად, მარტივად მომდინარეობს ლამაზი ქართული. მე შენ გეტყვი სადმე წააწყდები ენა მოსატეხ სიტყვას!

როდესაც ბ-ნი ფრონელი მთის არწივის შამილის ამბავს მოგვითხრობს, მკითხველი გრძნობს, რომ თვით დამწერი განიცდის შამილის არწივობას, ესმის მას მისი დიადი, ამაყი ბუნება. მისი ვაჟკაცობა იტაცებს, მისი უბედურება აღონებს. აგერ რა თავისუფლად, ამაყად ამპარტავნულად დასცქერავს ცის სივრცეში მთის შვილი არწივი! მას დედა-მიწა ქალამნად არ მიაჩნია და ცა ქუდად. ლამაზია ეს ნავარდობა, ლამაზია არწივი ყოველი თავისი მიხვრა-მოხვრით. მაგრამ დახე მუხთალს ბედს! არწივს ცალი ფრთა მოსტეხეს; იგი არ შეკრთა. მისებრ ჩვეული სიამაყით მწვერვალს მთას მიაშურა, მტერს თავი მიაფარა და მხოლოდ იქ ამოსკდა გულის სიღრმიდგან ვაჟკაცური გმინვა. ეს გმინვა ავტორისათვის გაუგებარი არა რჩება, მის გულს ღრმად ჩასწვდა იგი და თავისი პირწყლიანი ენით მკითხველის გულის სიღრმემდისაც ჩააწვდინა. მაგრამ გმირი რის გმირია, თუ იგი ასე მალე დაემონება ბედის ჩარხს!.. და აგი შამილიც არ დაემონა. არწივი მალე გასწორდა წელში, კვლავ შემოჰკრა ძლიერი ფრთა ფრთას და გაორკეცებული სიმხნევით, თავგამოდებით კვლავ მოუგდონა თავის დაუძინებელს მტერს. დიდ ხანს, დიდ ხანს იბრძოდა იგი სამშობლოსათვის; ერთი მუჭა რაზმით შედარებით მტრის რაზმთან დიდ ხანს იცავდა შამილი ამაყ მთის თავისუფლებას, მაგრამ „დიდი რუსეთი და მწირი დაღესტანი საჭიდაოდ რომ გამოვიდნენ და როგორც ეტყობოდათ ერთმანეთის პი-

რის კოცნას არ აშირებდნენ, ადამიანს ზღაპრული სურათი გადაეშლება თვალწინ. ჩრდილოეთიდან ბუმბერაზი, ას თავიანი ბაყ-ბაყ დევი მოაჯდაჯგუნებდა ბარკლებს, სამხრეთიდგან ეგებებოდა მართალია ქურციკით მარდი, მაგრამ მჭლე და სუსტი მთიულეთი. აბა სად გოლიათი და სად მწყემსი! საკვირველი დღესაც მხოლოდ ისაა, როგორ გაუძლო გოლიათს მწყემსმა მთელი ნახევარი საუკუნე და პირველ შეტაკებაზე როგორ არ გაწყდა წელში!"

მართლა-და საკვირველია!

მაგრამ არწივი მაინც იძლია სამუდამოდ.

— „20 ივლისს გრაფ ვორონცოვის რაზმი დაბრუნდა ს. ვერეზელს, სადაც ადარავერი შიში არ მოგვლოდათ... ახალმა ტაქტიკამ სული შეუხუთა მთას და, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, უკანასკნელად ბაწრის წვერი მოსწია ბარიათინსკიმ 25 აგვისტოს 1895 წელს გუნიბის მთაზე და მთის არწივი შამილი გალიაში გამოამწყვდია".

ამბობს ბ-ნი ფრონელი.

მთელი წიგნი გატაცებით იკითხება; პირველ სიტყვიდან ბოლო სიტყვამდის ეს წიგნი ბევრს რამეს აგრძნობინებს მკითხველს.

სასურველია მხოლოდ, რომ თავისი მადლიანი კალმის ნაწარმოები ბ-ნ ფრონელმა ხშირად მიაწოდოს ქართველ საზოგადოებას.

ნ. ბ—ძე.

ჩვენი ფოსტა

უკანასკნელ დროს მწერლობის ყიჟინმა ისევ წამოუქროლა ქართველ ახალგაზრდობას და მუდამ-დღე მოგვდის „პოეზია" და „პროზა". რადგან კერძოდ პასუხის გაცემა ძნელია, უყურადღებობა კი შეურაცხმყოფელი, ჩვენ ისევ ჟურნალით ვუპასუხებთ:

ლანჩხუთელ ოკოკს (?) ვერ გავბედეთ მთლად დაბეჭდვა საცენზურო მოსაზრებით, და ამიტომ ვბეჭდავთ შემოკლებით:

მეაბრეშუმეთა საყურადღებოთ!

არსებითად რომ ჩაუკვირდეთ ცხოვრების უფსკრულს, დავრწმუნდებით რომ, უმთავრეს ადგილს მოქმედებისას იჭერს ხალხი მასა დემოკრატია (გლეხობა და სოფლელნი აზნაურნი.) ხალხი, კვარცხლბეკია ბურჟუაზიული კლასის არსებობისა.

მე თამამად ვიტყვი რომ; მთელი მსოფლიოს მმართველთა ჩარხი ბრუნავს ხალხის სულის სიძლიერით.

მოძრაობს ქარხანა — ხალხით!
მუშავდება მიწა — ხალხით!..
აგებენ შენობებს — ხალხით!

მაგრამ ცხოვრებაში ერთი უფრო მნიშვნელოვანი რამ იჩრდილება; და ეს არის თანამედროვე დედაკაცის ფიზიკური შრომა...

სოფლის ოჯახის კაცს მიწის დამუშავებისა და საზამთრო შეშის მომზადების მეტი არა ეზრუნება რა.

სხვა ყველაფერი ოჯახის დედა-ქალის ხელსაქნარი არის. მაგალითად: უმთავრესად ბავშვების აღზრდა, საქონლის მოვლა-გამრავლება, სადილ-ვახშმის კეთება, ქმრის სამსახური, ქრა-კერვა, დაბანდარეცხა და სხ. ერთის სიტყვით რომ, გავზომოთ ქალ-კაცის შრომა თუ არ მეტი ზომიერი გამოვა ხოლმე.

ამასან ქალები მომეტებით სიყოჩაღეს იჩენენ აბრეშუმის მოყვანაში. თუ კი თესლი უტყუარი შეხვდა უსაცილოთ ერთი ქალი მოუვლის ერთ კარობკას ე. ი. შვიდ მისხალ აბრეშუმს.

შვიდი მისხალი თესლი, თუ ის მოყინული ან შეუმზადებელი არ არის ქმნის სამ ფუთ პარკს, და ასე ამ რიგად ქალი ამ ფრიად ნაყოფიერი შრომით უთანასწორდება მამა-კაცს შრომაში. ამიტომ ჩვენ მოუწოდებთ მეაბრეშუმეებს რომ „პასხალიდის" ფირმის აგენტების მეტს ნურვის ენდობიან, რათა არ მოსტყუვდნენ შეუმოწმებელ და მოყინულ თესლით.

ლანჩხუთელი ოკოკი.

ტალღას: „წყალი" და „ქარი" თქვენს ლექსში ძალიან შეხმატკბილებულან, ვფიქრობ, რომ მწერლობაში „წყალი" და მოსაზრებაში „ქარი" ესევე შეგიხმატკბილებიათ... თუმცა ლექსი ცელქი და მარხაზია.

საირხელ მაროს: „მაგრამ კვლავ მაინც შენ მეყვარები, შენთვის მოვიკლავ საბრალო თავსა".
ჩვენ არ ვიცით რა საშუალებით აპირობთ თავის მოკვლას, ჩვენი რჩევა კია: „კლდიდან" გადავარდეთ

ნიკოლოზ ხუჭუას: „ობლად ვკრწივარ ბნელ მიდამოში
აქაც ყოველი მომაგონდება... (?)
მაგრამ იმედი... ისევ იმედი".
— სულ ტყუილი იმედია!

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ი მ ე რ ე თ ი“

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის. გაზეთის ფასი: ერთი წლით—7 მან. ნახევარი წლით 4 მან ერთი თვით -80 კ. ცალკე ნომერი ერთი შაური.

ადრესი: Кутаисъ, редакція газ „Имерети“.

ყოველკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო, სათეატრო და საზოგადოებრივი შინაარსის სურათებიანი ჟ უ რ ნ ა ლ ი

„თ ე ა ტ რ ი და ც ხ ო ვ რ ე ბ ა“

ჟურნალს საგანგებო თანამშრომელ-კორესპოდენტები ჰყავს რუსეთსა და საზღვარ-გარედ. ჟურნალში ითანამშრომლებენ ცნობილნი მწიგნობარნი, მუსიკოსნი, დრამატურგნი, მგოსანნი,და მხატვარ-ხელოვანნი.

ჟურნალის ფასი: წლიურად 5 მ. (ამ წლის დამლევამდე — 4 მ.) ნახევარი წლით 3 მან. ცალკე ნომერი ორი შაური. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება ქართ. დრამატ. საზოგ. კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან („სორაპნის“ სტამბაში).

1894 წლიდან

1914 წლამდის

ს ა უ კ ე თ ე ს ო ღ ვ ი ნ ო დ ი თ ვ ლ ე ბ ა ღ ვ ი ნ ო

საზოგადოება „კ ა ხ ე თ ი“-სა

ტელეფონი:
№ 73 და 3—51.

თბილისი: გოგოლის ქუჩა 63
და ერევნის მოედანი.

განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენთში, მოსკოვში, ბათომში, როსტოვში და სხ.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა 5.